

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას ფინანსური ბაზრების დეპარტამენტის სავალუტო რეზერვების მართვის განყოფილებაში **პორტფელის მენეჯერის** თანამდებობაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი მართავს დაახლოებით 3,3 მლრდ აშშ დოლარის მოცულობის აქტივებს, რისთვისაც დაინტერესებულია მოიზიდოს ბანკში სამუშაოდ ფინანსური ბაზრების პროფესიონალები, რომელთაც აქვთ საერთაშორისო ბაზრებზე მუშაობისთვის საჭირო საბაზო ცოდნა და გამოცდილება, შესწევთ უნარი და აქვთ სათანადო მოტივაცია, სწრაფად აითვისონ ახალი ფინანსური ინსტრუმენტები და იმუშაონ ახალ ბაზრებზე.

სამუშაოს სპეციფიკა: პოზიცია მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს საინტერესო და ძლიერი პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები, მათ შორის შიდა და ორგანიზაციის გარეთ ტრენინგების მეშვეობით.

ფუნქცია-მოვალეობები:

- საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე მიმდინარე პროცესების ანალიზი;
- ფიქსირებული შემოსავლიანობის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების და საბანკო დეპოზიტებისაგან შემდგარი პორტფელის მართვა დერივატიული ინსტრუმენტების გამოყენებით;
- მოკლე ანალიტიკური მასალების მომზადება პერიოდულად;
- ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება საჭიროების შემთხვევაში.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი ეკონომიკური განათლება (სასურველია ფინანსების განხრით);
- ფინანსურ ბაზრებზე (სასურველია საერთაშორისო) მუშაობის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება;
- ფულადი და კაპიტალის ბაზრების, აგრეთვე ფინანსური ინსტრუმენტების ცოდნა; სასურველია დერივატიული ინსტრუმენტების თეორიული საფუძვლების ცოდნა.
- სასურველია ვაკანსიის შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული სერტიფიკატების ქონა;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილად ცოდნა;
- ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა.

კომპეტენციები:

- მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა
- დასახული ამოცანების დროულად, ოპერატიულად და დამოუკიდებლად შესრულების უნარი
- ორგანიზაციული უნარ-ჩვევები
- პრობლემების გადაჭრის უნარი
- ანალიტიკური აზროვნების უნარი
- შემოქმედებითი აზროვნების უნარი
- გუნდური მუშაობის უნარი

ანაზღაურება განისაზღვრება კანდიდატის განათლებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ 2019 წლის 25 იანვრამდე CV გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: vacancies@nbg.gov.ge და სათაურში მუთითეთ ვაკანსიის დასახელება: **პორტფელის მენეჯერი**.